განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს არსის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ნანა შარაბიძე

**წევრები:**

ნაზო წიბლიაშვილი

ეკატერინე პატიეშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: **შპს არსი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **216427999**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

## II. მონიტორინგის სახე:

■ გეგმიური

☐ არაგეგმიური

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| პრაქტიკოსი ექთანი (მილევადი) | 42 | 21 | 1 |
| ფარმაცევტის თანაშემწე (მილევადი) | 30 | 12 | 2 |
| ექთნის თანაშემწე (მილევადი) | 10 | 4 | 1 |
| სადაზღვევო აგენტი (მილევადი) | 28 | - | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

## IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 19 სექტემბრის N 855 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა, (ჯგუფის თავმჯდომარე - ნანა შარაბიძე, ჯგუფის წევრები -ნაზო წიბლიაშვილი, ეკატერინე პატიეშვილი), 2019 წლის 26 და 27 სექტემბერს განახორციელა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შპს ,,არსი“-ში, მისამართი ქ.რუსთავი, ჟ.შარტავას გამზირი N4 .

გეგმიური მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა 2018 წლის 11 დეკემბრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით სრული მონიტორინგის გზით შპს ,,არსი’’-ს (ს/კ 216427999), მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6,მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმება ასევე განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი ორი მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ და „საფინანსო სერვისების“ გადამოწმება.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად, რომელიც ბრძანებასთან ერთად წარედგინა დაწესებულებას ვიზიტის დაწყების წინ.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები, მარეგულირებელი დოკუმენტები და მათი შესრულების მტკიცებულებები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროგრამის შემუშავების, განხორციელების, გაუქმების პროცედურები, სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, შეფასების და განათლების აღიარების პროცედურები.

სტუდენტთა პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, ჩარიცხვის და კვალიფიკაციის მინიჭების აქტები.

გადამოწმდა მატერიალური რესურსი-აუდიტორიები, კაბინტები, ბიბლიოთეკა, საევაკუაციო გეგმა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

*{ქალაქი, წელი}*

ადამიანურ რესურსთან მიმართებაში გადამოწმდა პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, დანიშვნის ბრძანებები.

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულებაში 2018 წლის 18 და 19 სექტემბერს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტის დროს **გაცემული რეკომენდაციების შესრულება:**

1. „დაწესებულების ვებ-გვერდზე ატვირთული დოკუმენტები წარმოდგენილია ვორდის ფაილებში. დოკუმენტების გაუთვალისწინებელი ცვლილებებისა და დაზიანების თავიდან აცილების, უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დოკუმენტები მოამზადონ პედეეფ ფაილების ან სხვა ისეთ ფორმატში, რომლის მარტივად დაზიანება შეუძლებელი იქნება" - **აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია დაწესებულებას კატალოგი და წესდება ატვირთული აქვს pdf -ფაილში.**
2. „ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის გაცნობისას, გაირკვა, რომ როგორც დარგობრივ, ისე ზოგად მოდულებში(მაგ. ზოგადი მოდული-სამოქალაქო განათლება) გარკვეული სასწავლო რესურსი მათ მიერ იყო მოდიფიცირებული და სწავლებიდან გამომდინარე ადაპტირებული, თუმცაისე, როგორც ახორციელებდნენ მოლარე-ოპერატორის ჩარჩოს სწალებისას, რომელიც გაუქმდა 01.06.2018-ში და რომლის შედეგები უფრო მეტია, ვიდრე დღევანდელი ჩარჩოს შედეგები.
   ექსპერტებმა რეკომენდაცია გაუწიეს პედაგოგებს მოდულებში სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა კიდევ ერთხელ გადახედოს და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს იმ ლიტერატურის ჩამონათვალი, სადაც პირველ რიგში გათვალისწინებული იქნება ჩარჩო დოკუმენტის მოდულებში დაცული სწავლის შედეგებთან შესაბამისობა. " - **რეკომენდაცია შესრულებულია, მოდულის „სამოქალაქო განათლება" სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან.**
3. „პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი საშუალებები და პაციენტის გასასინჯი(სამანიპულაციო) მაგიდა განთავსებულია სხვადასხვა ოთახში. რეკომენდირებულია, პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი ყველა საშუალება განთავსდეს ამ მიზნისათვის გამოყოფილ ერთ ოთახში"- **რეკომენდაცია შესრულებულია.**
4. „ვიზუალური დათვალიერებისას, ერთ-ერთი ხის პანდუსი ვერ წვდება საფეხურის ბოლოს არსებულ სწორ ზედაპირს. რეკომენდებულია პანდუსის სიგრძე გაუთანაბრდეს მანძილს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
*{ქალაქი, წელი}*

საფეხურების დასაწყისში არსებული სწორი ზედაპირიდან, მის ბოლოს არსებულ სწორ ზედაპირამდე.

რეკომენდებულია, არსებული ხის პანდუსები ჩანაცვდეს ლითონის კონსტრუქციით, რომელიც იქნება უფრო საიმედო და უფრო მოსახერხებელი არსებულთან შედარებით.

სსსმ პირთათვის განკუთვნილ საპირფარეშოებში არსებული სხვადასხვა სიმაღლის იატაკიც წარმოადგენს დამატებით სირთულეს. რეკომენდირებულია აღნიშნული იატაკი იყოს თანაბარი სიმაღლის, რაც კიდევ უფრო გააიოლებს საპირფარეშოთი სარგებლობას ამ პირთათვის“- **რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ კოლეჯში გარედან შემოსასვლელად დამონტაჟდა რკინის პანდუსი, ხოლო შენობის შიგნით დარჩა ხის პანდუსები თუმცა უზრუნველყოფილია სწორი ზრდაპირიდან პანდუსზე გადასვლის და პანდუსიდან გადმოსვლის შესაძლებლობა, სველ წერტილებში იატაკის გათანაბრება უზრუნველყოფილია დასხმული ცემეტის პანდუსით. (იხ. სურათები).**

**უნდა აღინიშნოს რომ დაწესებულებაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოსაწერგიგებლად, კორიდორებში და სასწავლო გარემოში დაგებულია ახალი გრანიტის ფილები, ლამინატი, შეღებილია კედლები, შესყიდულია და დასამონტაჟებელი იყო ხელსაბანები და გამწოვი.**

„დაწესებულებას ასევე მიეცა რეკომენდაცია თითოეულ პოზიციაზე საშტატო განრიგის მიხედვით საკვალიფიკაციო მოთხოვნის გაწერის შესახებ, რათა თანამშრომლის დაქირავების პროცესი უფრო გამჭვირვალედ წარიმართოს“ - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულებამ წესდებაში გაწერა სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები.**

ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიულ სტუდენტებთან.

განხორციელდა ვიზიტი ჯგუფის მიერ შერჩეულ პრაქტიკის ობიექტებზე, კერძოდ, შპს ,,კლინიკა რუსთავი’’, შპს ,,რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი’’ და სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია’’-ს რუსთავის ფილიალი. გავესაუბრეთ პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელებს, პრაქტიკის კოორდინატორებს და იქ მომუშავე პერსონალს.

დღის ბოლოს ჯგუფის წევრებს შორის ხდებოდა გაწეული მუშაობის შედეგების შეჯერება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

*{ქალაქი, წელი}*

ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს გაეცნო მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი მიგნებები.

## V. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☐ | ☒ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ☐ | ☒ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | ☐ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 /** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------

---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **პუნქტი ვ.გ)** | | |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | □ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | □ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | □ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | □ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | □ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | □ |

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

## VII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

ქვესტანდარტი 1.1. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/ პუნქტი ა))

- „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნით კლინიკური პარაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებასთან დადებულ ხელშეკრულებაში გაწერილი უნდა იყოს ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ფუნქციები, პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობები, ანგარიშგების/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება, სტუდენტის არადისცილინური პასუხისმგებლობის დასმის უფლებამოსილება, წახალისების და სხვა საკითხის დასმის უფლებამოსილება, 1/7 თანაფარდობა ექთანსა და პროფესიულ სტუდენტს შორის და პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტების უზრუნველყოფის საკითხები, **დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში აღნიშნულია რომ „პროფესიული სტუდენტები კლინიკური მოდულების გავლისას პირადი დაცვის საშუალებების გარეშე არ დაიშვებიან. აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფა დარეგულირებულია კოლეჯ „არსსა“ და კლინიკის/პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით“ თუმცა ხელშკრულებებში არ იყო გათვალისწინებული ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტების უზრუნველყოფის საკითხები.**

## VIII. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/ პუნქტი ა))

- **ექსპერტები დავინტერესდით, ორი მენტორი, რომლებთანაც დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება 2 პრაქტიკული და 12 კლინიკური და შემაჯამებელი მოდულის განსახორციელებლად, რამდენად შეძლებდა კლინიკის სხვადასხვა განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების სწავლების უზრუნველყოფას, რაზეც კლინიკის მენეჯმენტმა განაცხადა, რომ ვერ მოხერხდებოდა სხვდასხვა განყოფილებაში ამ ორი ექთანის მიერ პროფესიული სტუდენტების სწავლება , ხელშკრულებით აყვანილ მენტორები მხოლოდ თავიანთ განყოფილებებში შეძლებენ სტუდენტების**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------------
------------------------------
*{ქალაქი, წელი}*

ხელმძღვანელობას, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ განყოფილებებს, კლინიკა მზადაა განიხილოს დაწესებულებასთან დამატებითი მენტორების გამოყოფის საკითხები.
ამასთან ასევე განაცხადეს რომ ისინი ვერ შეძლებენ პრაქტიკული მოდულის -„შინმოვლა“ განხორციელებას.
გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ აღნიშნული საკითხი დაარეგულიროს კლინიკასთან.

- სასურველია განხორციელდეს ცვლილება სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში, დაფიქსირდეს „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის მომსახურება და ამოღებული იქნეს ხელშკრულებიდან საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალიზაციის კოდი რომლის საჭიროებასაც არ მოითხოვს პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშკრულება;

- სასურველია დაწესებულებამ გაწეროს პრაქტიკის გრაფიკი სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ გასავლელი საათების შესაბამისად და შეიტანოს ცვლილება სასწავლო გეგმის კვირეულ ხანგრძლივობაში.

ქვესტანდარტი 1.6. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/ პუნქტი ვ))

- სასურველია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები დამტკიცდეს და განთავსდეს ვებ გვერდზე

ქვესტანდარტი 2.3. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/ პუნქტი გ))

- სასურველია გაიმიჯნოს ბიბლიოთეკის და სააქტო დარბაზის ფართები ან უფრო მეტი სივრცე დაუთმონ ბიბლიოთეკას, დაამატონ მკითხველთა მაგიდები და დადგან მინიმუმ ერთი კომპიუტერი და 1 პრინტერი ბიბლიოთეკის მკითხველთა საჭიროებებისთვის.

ქვესტანდარტი 2.5. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/ პუნქტი ე))

- სასურველია დაწესებულების სხვადასხვა დოკუმენტებში, ასევე დაწესებულების სატიტულე ფურცელზე, ბლანკზე და ბეჭედზე მითითებული სახელწოდებები შესაბამისობაში მოვიდეს საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულ დაწესებულების სახელწოდებასთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
{ქალაქი, წელი}

ქვესტანდარტი 3.1. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8/ პუნქტი ა))
სასურველია ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს ჩაემატოს პუნქტი საქართველოს ორგანული კანონის-საქართველოს შრომის კოდექსით (თავი მე-4, მუხლი 17) განსაზღვრული არსებითი პირობა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ.

ქვესტანდარტი 3.2. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/ პუნქტი ბ))

- რეკომენდაცია მიეცათ დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები" დამატებით მინიმუმ ერთი, დარგის პროფესიული მასწავლებლით, ვინაიდან 3 დარგობრივი პროფესიული მასწავლებლიდან კვალიფიკაცია მხოლოდ ერთს დაუდასტურდა, ხოლო ჩამნაცვლებლად შემოთავაზებული მასწავლებლის (კვალიფიკაციით ფილოლოგის) ბანკში პროფესიული მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი.

## IX. სტანდარტების შეფასება

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

*{ქალაქი, წელი}*

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის N61 გადაწყვეტილებით შპს არსს მიენიჭა ავტორიზაცია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება, კერძოდ:

- ✓ პრაქტიკოსი ექთანი - მისანიჭებელი კვალიფიკაცია -„პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“- 42 პროფესიული სტუდენტი;
- ✓ ფარმაცევტის თანაშემწე - მისანიჭებელი კვალიფიკაცია -„ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“- 30 პროფესიული სტუდენტი;
- ✓ ბანკის მოლარე ოპერატორი - მისანიჭებელი კვალიფიკაცია -„ბანკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“- 30 პროფესიული სტუდენტი;
- ✓ სადაზღვევო აგენტი - მისანიჭებელი კვალიფიკაცია -„სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“- 28 პროფესიული სტუდენტი;
- ✓ ექთნის თანაშემწე - მისანიჭებელი კვალიფიკაცია -„ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“- 10 პროფესიული სტუდენტი;

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 140-ით.

„ბანკის მოლარე ოპერატორის“ ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების საფუძველზე შპს არსის დირექტორის 2018 წლის 1 ივნისის ბრძანებით N1-13 გაუქმდა „ბანკის მოლარე ოპერატორის“ საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულებამ 2018 წლის 17 აგვისტოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განაცხადი წარადგინა „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის N191 გადაწყვეტილებით შპს არსს მიენიჭა დამატებით „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია -„მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში“- 16 პროფესიული სტუდენტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------

---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

ამ ეტაპზე დაწესებულებაში ყველა ზემოთ აღნიშნული პროგრამა გადაყვანილია მილევად რეჟიმში (შპს არსის დირექტორის ბრძანება №1-01, 08.01.2019წ). სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სამ საგანმანათლებლო პროგრამაზე: „პრაქტიკოსი ექთანი“; „ფარმაცევტის თანაშემწე“ და „ექთნის თანაშემწე“, აღნიშნულ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვა განხორციელდა 2018-19სასწ.წელს. საგანმანათლებლო პროგრამაზე „სადაზღვევო აგენტი“ დაწესებულებას სწავლება არ განუხორციელებია.

**<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პრაქტიკოსი ექთანი“ (მილევადი)</u>**

პროგრამა შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „პრაქტიკოსი ექთანი“ (სარეგისტრაციო ნომერი: 09101-პ) საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციიაა „პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მოცულობა კრედიტებში:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 122კრედიტს (მათ შორის: სავალდებულო ზოგადი მოდულები - 11 კრ.; სავალდებულო პროფესიული მოდულები - 107 კრ.; არჩევითი მოდულები - 4 კრ.), სავარაუდო ხანგრძლივობა -21 თვე (84 კვირა);

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შესაბამისად მოცულობა 152 კრედიტი, სავარაუდო ხანგრძლივობა - 26 თვე (104 კვირა);

საგანმნათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან:

1. „კლინიკა რუსთავი“ - მულტიფუნქციური კლინიკა;
2. შპს „ ქ.რუსთავის კანისა და ვენერიულ სნეულებათა კლინიკა“;
3. ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი კარიტასი.

**<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცევტის თანაშემწე“(მილევადი)</u>**

პროგრამა შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ფარმაცევტის თანაშემწე“ (სარეგისტრაციო ნომერი: 09103-პ) საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციიაა „ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
*{ქალაქი, წელი}*

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მოცულობა კრედიტებში:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 91კრედიტს (მათ შორის: სავალდებულო ზოგადი მოდულები - 15 კრ.; სავალდებულო პროფესიული მოდულები - 65 კრ.; არჩევითი მოდულები - 11 კრ.), სავარაუდო ხანგრძლივობა -15 თვე (60 კვირა);

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შესაბამისად მოცულობა 121 კრედიტი, სავარაუდო ხანგრძლივობა - 20 თვე (80 კვირა);

საგანმნათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან:

1. შპს „ემ ფარმა“ - აფთიაქების ქსელი;
2. შპს „ ფარმაცია“ - აფთიაქი;
3. ი/მ „მაია მდივნიშვილი“- აფთიაქი.

**<u>პროფესიული  საგანმანათლებლო პროგრამა „ექთნის თანაშემწე“(მილევადი)</u>**

პროგრამა შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ექთნის თანაშემწე“ (სარეგისტრაციო ნომერი: 09102-პ) საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციიაა „ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება

პროგრამის მოცულობა კრედიტებში:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 75 კრედიტს (მათ შორის: სავალდებულო ზოგადი მოდულები - 16 კრ.; სავალდებულო პროფესიული მოდულები - 55 კრ.; არჩევითი მოდულები - 4 კრ.), სავარაუდო ხანგრძლივობა -13 თვე (50 კვირა);

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შესაბამისად მოცულობა 90 კრედიტი, სავარაუდო ხანგრძლივობა - 15 თვე (60 კვირა);

საგანმნათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან:

1. „კლინიკა რუსთავი“ - მულტიფუნქციური კლინიკა;
2. შპს „ ქ.რუსთავის კანისა და ვენერიულ სნეულებათა კლინიკა“;
3. ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი კარიტასი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------------

------------------------------

*{ქალაქი, წელი}*

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სადაზღვევო აგენტი“(მილევადი)

პროგრამა შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სადაზღვევო აგენტი“ (სარეგისტრაციო ნომერი: 04111-პ) საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციიაა „სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მოცულობა კრედიტებში:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 87კრედიტს (მათ შორის: სავალდებულო ზოგადი მოდულები - 15კრ.; სავალდებულო პროფესიული მოდულები - 61 კრ.; არჩევითი მოდულები - 11კრ.), სავარაუდო ხანგრძლივობა -15 თვე (57 კვირა);

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შესაბამისად მოცულობა 117კრედიტი, სავარაუდო ხანგრძლივობა - 19 თვე (77 კვირა);

საგანმნათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან - სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების „პრაქტიკოსი ექთანი“, „ფარმაცევტის თანაშემწე“, „ექთნის თანაშემწე“ და „სადაზღვევო აგენტი“, საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდა, დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სახელზე 2019 წლის 20 ივნისის N034 წერილით წარმოდგენილი, მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, „საექთნო განათლება“ და „საფინანსო სერვისები“, ჩარჩო დოკუმენტთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

დაწესებულების მარეგულერებელი დოკუმენტის, „მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების წესი კოლეჯ „არსში““ (დამტკ.ბრძ.N1-18; 25. 04.2016 წ.), „პუნქტი 6. პროგრამის მოდიფიცირების/ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“, 2. ქვეპუნქტით განსაზღვრულია: „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული ვარიანტის შემუშავება ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირთა ჩართულობით. აღნიშნული პირების შემადგენლობით იკრიბება კომისია, ისინი შეიმუშავებენ შესაბამის ხედვას, ეცნობიან შესაბამის პროფესიულ სტანდარტს და ჩარჩო დოკუმენტს და დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავენ დაწესებულების დირექტორს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დირექტორის მიერ მტკიცდება პროგრამა“. დაწესებულებამ წარმოადგინა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემმუშავებელი კომისიის ოქმები. ოქმები დანომრილია და დარეგისტრირებულია ოქმების რეგისტრაციის წიგნში.

ექსპერტების მიერ წინასწარ ვიზიტამდე გადამოწმდა დაწესებულების მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წამოდგენილი ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „პრაქტიკოსი ექთანის“ მოდიფიცირებული ვერსია - საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ 2019 წ. 31 მაისის ბრძ. N1-28 და „საფინანსო სერვისების“ მოდიფიცირებული ვერსია დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ 2019 წ. 3 ივნისის ბრძ. N1-30;

**საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“**

ვიზიტამდე საგანმანათლებლო პროგრამის წინასწარი გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამა არ იყო შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამა მოდიფიცირებული იყო 2018 წლის 21 მაისის ბრძ.N407/ი (დანართი1) დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, ხოლო ჩარჩო დოკუმენტის ცვლილების ბოლო თარიღია 2019 წლის 16 აპრილის ბრძ. N 274/ი (დანართი 1), რომლის შესაბამისადაც უნდა განხორციელებულიყო მოდიფიცირება.
2. საგანმანათლებლო პროგრამის თავფურცელზე მითითებული იყო სპეციალიზაციის კოდი 090554, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით საგანმანათლებლო პროგრამას მინიჭებული აქვს კოდი 0913;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

*{ქალაქი, წელი}*

3. საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებული იყო მხოლოდ ერთი მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing, რომელიც ძალაშია 2020 წლის 29 თებერვლამდე, ხოლო 2020 წლის 29 თებერვლიდან ასამოქმედებელი კვალიფიკაცია-ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/Associate Degree in Nursing არ იყო მითითებული.

4. ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში: ნაცვლად მოდულისა „პედიატრია და მოზარდები" ჩასმული იყო მოდული „კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები" თუმცა კრედიტი და სააათების რაოდენობა გაწერილი იყო „პედიატრია და მოზარდების" მოდულის შესაბამისად, ასევე მოდულზე „კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები" დაშვების წინაპირობად მითითებული იყო მოდული „კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები".

**ვიზიტის პირველივე დღეს, დღის წესრიგით განსაზღვრულ, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, განხილიული იყო წარმოდგენილ დოკუმენტებში დაფიქსირებული გარემოებები, რაზედაც დაწესებულების დირექტორმა განაცხადა რომ, როგორც ირკვევა ცენტრში წარმოადგინა განსხვავებული ვერსია, ადგილზე წარმოდგენილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება", რომელიც სრულ შესაბამისობასია 2019 წლის 16 აპრილის ბრძ.N 274/ი (დანართი 1) დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან. ვინაიდან გარემოებების გაცნობიდან პროგრამის წარმოდგენამდე დრო საკმაოდ მცირე იყო, დოკუმენტის ნამდვილობაში ექსპერტებს ეჭვი არ შეპარვიათ.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის ,,საექთნო განათლება / Nursing" საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 09109-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში / Associate Degree in Nursing.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 180 კრედიტს. (მათ შორის: ზოგადი მოდულები - 9 კრ.; თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი; თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი; თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი; პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი; კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი), სავარაუდო ხანგრძლივობა -30 თვე (120 კვირა);

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 210 კრედიტი. სავარაუდო ხანგრძლივობა -35თვე (140 კვირა).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები, პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, თუმცა არ არის დაცული გადაბარების ვადები კლინიკურ პრაქტიკებსა და შემაჯამებელ კლინიკურ პრაქტიკებს შორის, რომლის დაშვების წინაპირობასაც წარმოადგენენ კლინიკური პრაქტიკები;

დაწესებულებას პრაქტიკული სწავლების განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდ საქართველოს კარიტასთან" (2019 წლის 28 მაისი HD1-8-2019; N 4/09-19; 7 წლით), სადაც დაწესებულება გეგმავს მოდულების
1.„გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები" ;
2. „შინმოვლა"
თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის გავლას.
ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი.

კლინიკური სწავლების განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები:
შპს „კლინიკა რუსთავთან" (2019 წლის 12 თებერვალი ხელშ.N4/02-19; 6 წლის ვადით) სადაც იგეგმება 2 (ორი) პრაქტიკული სწავლების მოდულის - „ავადმყოფის მოვლა", „შინმოვლა" და 12 (თორმეტი) კლინიკური მოდულის განხორციელება:

1) „კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა"
2) „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა"
3) „კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა"
4) „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა"
5) „კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა"
6) „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა"
7) „კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა"
8) „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა"
9) „კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა"
10) „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა"
11) „კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები"
12) „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები"

კლინიკას შეუძლია 14 პროფესიული სტუდენტის მიღება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
---------------------------
---------------------------
{ქალაქი, წელი}

შპს „რუსთავის ფსიქიური ჯანმრთელობის ცენტრი“ (2019 წლის 10 აპრილი N4/06-19; 6 წლის ვადით) სადაც იგეგმება მოდულების განხორციელება:

1) „კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“
2) „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“

ცენტრს შეუძლია 14 პროფესიული სტუდენტის მიღება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „საექთნო განათლება“ მოთხოვნებით კლინიკური პარაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებასთან დადებულ ხელშეკრულებაში უნდა იყოს გაწერილი ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ფუნქციები, პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობები, ანგარიშგების/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება, სტუდენტის არადისცილინური პასუხისმგებლობის დასმის უფლებამოსილება, წახალისების და სხვა საკითხის დასმის უფლებამოსილება, ასევე 1/7 თანაფარდობა ექთანსა და პროფესიულ სტუდენტს შორის და პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტების უზრუნველყოფის საკითხები.

მიუხედავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში გაკეთებული აღნიშვნისა, რომ „პროფესიული სტუდენტები კლინიკური მოდულების გავლისას პირადი დაცვის საშუალებების გარეშე არ დაიშვებიან და რომ, აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფა დარეგულირებულია კოლეჯ „არსსა“ და კლინიკის/პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით“, <u>ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშკრულებებში არ იყო გათვალისწინებული ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი მხარის განსაზღვრის საკითხები.</u>

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებები კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან ჩარჩო-დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისადაც რომ ყოფილიყო გაფორმებული, მაინც შესაცვლელი იქნებოდა, ვინაიდან მათში საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებასთან ერთად, მითითებული იყო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალიზაციის ექვსნიშნა კოდი 090554 (ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით). დაწესებულებას განემარტა, რომ ხელშეკრულებებში საერთოდ არ იყო საჭირო სპეციალიზაციის კოდის მითითება. **<u>დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2019 წლის 27 სექტემბერს შპს „რუსთავის კლინიკასთან“ გაფორმებული განახლებული „თანამშრომლობის გენერალური ხელშეკრულება“</u>**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------------

------------------------------

*{ქალაქი, წელი}*

**რომლიდანაც ამოღებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალიზაციის კოდი, თუმცა არ გაიწერა ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტების უზრუნველყოფის საკითხები.**

ხელშეკრულებებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ხარვეზს აღმოფხვრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭომდე.

განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე **შპს „კლინიკა რუსთავში“ და შპს „რუსთავის ფსიქიური ჯანმრთელობის ცენტრში“;**
**შპს „კლინიკა რუსთავში“** ვიზიტის დროს კლინიკაში დაგვხვდა შეცვლილი მენეჯმენტი, ინტერვიურება ჩატარდა კლინიკის ახალ დირექტორთან, მთავარ ექიმთან, იურისტთან და ორ მენტორთან, რომლებთანაც დაწესებულებას ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული. მიუხედავად იმისა, რომ ახალი დირექტორი იცნობდა დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს და ქონდა კომუნიკაცია დაწესებულების წარმომადგენლებთან, არ იყო გარკვეული კონკრეტულად რა მოეთხოვებოდა მას, როგორც დაწესებულებას და რა დონის ექთანი მზადდებოდა საგანმანათლებლო პროგრამით, რამაც გამოიწვია საკმაოდ ხანგრძლივი დისკუსია. კლინიკის დირექტორი საკმაოდ ღრმად ჩაეძია პროგრამის სპეციფიკას, რის შედეგადაც გამოიკვეთა კლინიკის ინტერესი - ყავდეს კარგად მომზადებული კადრი, იყოს ჩართული მათ მომზადებაში და გამოთქვა მზადყოფნა ყოველწლიურად მიიღონ კოლეჯის 14 სტუდენტი, ერთდროულად სხვადასხვა განყოფილებაში.
ექსპერტები დავინტერესდით, ორი მენტორი, რომლებთანაც დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება 2 პრაქტიკული და 12 კლინიკური და შემაჯამებელი მოდულის განსახორციელებლად, რამდენად შეძლებს კლინიკის სხვადასხვა განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების სწავლების უზრუნველყოფას, რაზეც კლინიკის მენეჯმენტმა განაცხადა, რომ ვერ მოხერხდებოდა სხვადასხვა განყოფილებაში ამ ორი ექთანის მიერ პროფესიული სტუდენტების სწავლება , ხელშკრულებით აყვანილ მენტორები მხოლოდ თავიანთ განყოფილებებში შეძლებენ სტუდენტების ხელმძღვანელობას, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ განყოფილებებს, კლინიკა მზადაა განიხილოს დაწესებულებასთან დამატებითი მენტორების გამოყოფის საკითხები.
ამასთან ასევე განაცხადეს, რომ ისინი ვერ შეძლებენ პრაქტიკული მოდულის -„შინმოვლა“ განხორციელებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------
*{ქალაქი, წელი}*

**გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ აღნიშნული საკითხი დაარეგულიროს კლინიკასთან.**

**შპს „რუსთავის ფსიქიური ჯანმრთელობის ცენტრში“** შედარებით უკეთ იყვნენ ინფორმირებულები მათი როლის შესახებ და გამოთქვეს მზადყოფნა სწავლების პროცესში ჩართვაზე და ყოველწლიურად კოლეჯის 14 სტუდენტის მიღებაზე კლინიკური და შემაჯამებელი პრაქტიკის გასავლელად.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“**

საგანმანათლებლო პროგრამის ვიზიტამდე წინასწარი გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:
1. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა არ იყო შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამა მოდიფიცირებული იყო 2018 წლის 5 ივნისის ბრძ. N458/ი (დანართი 81) დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, ხოლო ჩარჩო დოკუმენტის ცვლილების ბოლო თარიღია 2019 წლის 6 თებერვლის ბრძ. N110/ი, რომლის დანართის შესაბამისადაც უნდა განხორციელებულიყო მოდიფიცირება. საგანმანათლებლო პროგრამაში N110/ი ბრძანების შესაბამისად შეცვლილია მხოლოდ მისანიჭებელი კვალიფიკაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამის თავფურცელზე მითითებული იყო სპეციალიზაციის კოდი 020456, მაშინ როცა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით საგანმანათლებლო პროგრამას მინიჭებული აქვს კოდი 0412;
3. საგანმანათლებლო პროგრამაში არ იყო გაწერილი მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები;
4. საგანმანათლებლო პროგრამაში და მოდულებში ჩარჩენილი იყო მოდულზე დაშვების წინაპირობები.
5. ჩარჩენილი იყო თითოეული სწავლის შედეგებისათვის კრედიტების რაოდენობაც.

**დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ბრძანებაN1-46,27.09.2019 წ.), რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის “საფინანსო სერვისების” საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04117-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია -



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
*{ქალაქი, წელი}*

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 51 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 35 კრედიტი. პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს (16 კრედიტის მოცულობით) და 13 პროფესიულ მოდულს (51 კრედიტის მოცულობით).

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდებებისთვის შეადგენს 9 სასწავლო თვეს ( 34 კვირა);

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 66 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 11 სასწავლო თვსე (44 კვირა) .

სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები, პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაწესებულებას საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს:

1. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთან“ , ხელშკ. VTB 091111160292; N4/13-2016; 2016 წ. 11 ნოემბერი 3 წლის ვადით, 2018 წლის 28 თებერვალს გაფორმებულია შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ N 4/01-2018 რომლის საფუძველზეც ხელშეკრულება გაგრძელებულია 6 წლის ვადით, ბანკი უზრუნველყოფს ერთდროულად არაუმეტეს 2 პროფესიული სტუდენტის მიღებას, თითოეული სამუშაო დღის მანძილზე არაუმეტეს 8 საათისა.

   უნდა აღინიშნოს, რომ „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთან“ ხელშეკრულება გაფორმებულია „ბანკის მოლარე ოპერატორის“ პროგრამის ფარგლებში, რომელშიც მითითებულია ამ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალიზაციის ექვსნიშნა კოდი 020455; ხელშეკრულების მე-5 პუნქტი მოიცავს ჩანაწერს „საქართველოს პროფესული განათლების სისტემაში ამჟამად მიმდინარე მოდიფიცირებების პროცესის გათვალისწინებით, ხელშეკრულების ხელმოწერის პერიოდისათვის მოქმედი საბანკო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის „ბანკის მოლარე-ოპერატორის“ (020455) სახელწოდების ცვლილებისა და კრედიტული დატვირთვის შეცვლის შემთხვევაში, ხელშეკრულება რჩება ძალაში და სასწალო პრაქტიკაზე სტუდენტთა დაშვება მოხდება ახალი საბანკო მიმართულების პროგრამის მოდულებისათვის განსაზღვრული კალენდარული გეგმების შესაბამისად, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული ბანკთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

{ქალაქი, წელი}

ამ შემთხვევაშიც **გაიცა რეკომენდაცია განხორციელდეს ცვლილება სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთან“ გაფორმებულ ხელშკრულებაში, დაფიქსირდეს „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის მომსახურება და ამოღებული იქნეს ხელშკრულებიდან საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალიზაციის კოდი რომლის საჭიროებასაც არ მოითხოვს პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშკრულება.**

2. სს „კრედო ბანკთან“, გაფორმებული მემორანდუმი 4/08-19, 27.05.2019წ, 5 წლის ვადით, არ ითვალისწინებს სტუდენტების სწავლებას და ითვალისწინებს მხოლოდ ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.
3. შპს „მადაგონი“ ხელშეკრულება N4/08-2018, 25.06.2018წ. უვადო, არაა განსაზღვრული რამდენ პროფესიულ სტუდენტს მოემსახურება.

განხორციელდა ვიზიტი სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“, ბანკის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ კოლეჯთან დიდი ხანია თანამშრომლობს და მოხარულია, რომ მცირედით მაინც ეხმარება ახალგაზრდებს პროფესიის ათვისებაში, ექსპერტები დაინტერესდნენ რას გულისხმობდა ხელშეკრულებაში არსებული ბუნდოვანი ჩანაწერი „ბანკი უზრუნველყოფს ერთდროულად არაუმეტეს 2 პროფესიული სტუდენტის მიღებას, თითოეული სამუშაო დღის მანძილზე არაუმეტეს 8 საათისა“ და რამდენი სტუდენტის მიღება შეეძლო ერთდროულად, მისი განმარტებით ბანკს შეუძლია ერთდროულად მიიღოს 4 პროფესიული სტუდენტი ორ სხვადასხვა განყოფილებაში, რასაც მუდმივად აკეთებს კიდევაც, თუმცა ხელშეკრულებით ვალდებულების აღებას მოერიდა, ვინაიდან ვერ განსაზღვრავდა პრაქტიკის პერიოდისთვის რა დატვირთვით იმუშავებდა ბანკი.

აღნიშნულიდან გამომდინარე **გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ გაწეროს საწარმოო პრაქტიკის გრაფიკი ბანკში გასავლელი საათების შესაბამისად, შეიტანოს ცვლილება სასწავლო გეგმის კვირეულ ხანგრძლივობაში და წარმოადგინოს ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე.**

**ხარვეზი:**

„საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილია, რომ კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებასთან დადებულ ხელშეკრულებაში გაწერილი უნდა იყოს ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ფუნქციები, პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობები, ანგარიშგების/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

{ქალაქი, წელი}

სტუდენტის არადისცილინური პასუხისმგებლობის დასმის უფლებამოსილება, წახალისების და სხვა საკითხის დასმის უფლებამოსილება, 1/7 თანაფარდობა ექთანსა და პროფესიულ სტუდენტს შორის და პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტების უზრუნველყოფის საკითხები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში აღნიშნულია რომ „პროფესიული სტუდენტები კლინიკური მოდულების გავლისას პირადი დაცვის საშუალებების გარეშე არ დაიშვებიან. აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფა დარეგულირებულია კოლეჯ „არსსა" და კლინიკის/პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით" თუმცა ხელშეკრულებებში არ იყო გათვალისწინებული ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტების უზრუნველყოფის საკითხები.

რეკომენდაცია:

- ექსპერტები დავინტერესდით, ორი მენტორი, რომლებთანაც დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება 2 პრაქტიკული და 12 კლინიკური და შემაჯამებელი მოდულის განსახორციელებლად, რამდენად შეძლებს კლინიკის სხვადასხვა განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების სწავლების უზრუნველყოფას, რაზეც კლინიკის მენეჯმენტმა განაცხადა, რომ ვერ მოხერხდებოდა სხვდასხვა განყოფილებაში ამ ორი ექთანის მიერ პროფესიული სტუდენტების სწავლება , ხელშკრულებით აყვანილ მენტორები მხოლოდ თავიანთ განყოფილებებში შეძლებენ სტუდენტების ხელმძღვანელობას, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ განყოფილებებს, კლინიკა მზადაა განიხილოს დაწესებულებასთან დამატებითი მენტორების გამოყოფის საკითხები.
  ამასთან ასევე განაცხადეს რომ ისინი ვერ შეძლებენ პრაქტიკული მოდულის -„შინმოვლა" განხორციელებას.
  გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ აღნიშნული საკითხი დაარეგულიროს კლინიკასთან.
- განხორციელდეს ცვლილება სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთან" გაფორმებულ ხელშკრულებაში, დაფიქსირდეს „საფინანსო სერვისების" საგანმანათლებლო პროგრამის მომსახურება და ამოღებული იქნეს ხელშეკრულებიდან საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალიზაციის კოდი რომლის საჭიროებასაც არ მოითხოვს პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------

---------------------------

{ქალაქი, წელი}

- **დაწესებულებამ გაწეროს საწარმოო პრაქტიკის გრაფიკი სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ გასავლელი საათების შესაბამისად და შეიტანოს ცვლილება სასწავლო გეგმის კვირეულ ხანგრძლივობაში.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების „მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების წესი კოლეჯ „არსში““ (დამტკ.ბრძ.N1-18; 25. 04.2016 წ.);
- საგანმანათლებლო პროგრამებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების აქტით;
- საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ხელშკრულებებით და მემორანდუმებით;
- ინტერვიურებით.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების 2019 წლის კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, კრედიტები და შეფასების წესი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--------------------------

--------------------------

*{ქალაქი, წელი}*

მილევად რეჟიმში მოქმედი პროგრამების შესახებ. ასევე ანონსის სახით მოცემულია სრული ინფორმაცია ორი მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ და „საფინანსო სერვისები“ შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების მიერ მილევად რეჟიმში განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „პრაქტიკოსი ექთანი“, „ექთნის თანაშემწე“, „ფარმაცევტის თანაშემწე“, „სადაზღვევო აგენტი“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებს.

მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში:

„საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (საგანმანათლებლო სტანდარტს) „საექთნო განათლება“ დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 16.04.2019 წ. ბრძ.N 274/ი (დანართი 1).

„საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (საგანმანათლებლო სტანდარტს)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

{ქალაქი, წელი}

„საფინანსო სერვისები“ დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 6.02.2019 წ. ბრძ. N110/ი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით/სასწავლო გეგმებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს არსი-ს დირექტორის ბრძანებით (№1-1-16/01.05.2019) დამტკიცებულია კოლეჯი „არსის“ სასწავლო პროცედურათა წესი (დებულებათა კრებული), რომელშიც XVIII თავისგან შედგება და მასში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (II თავი), სტატუსის შეჩერების (IX თავი), სტატუსის შეწყვეტის (X თავი), პროფესიულ სტუდენტთა მობილობის (XI თავი) და მიღებული განათლების აღიარების (XIII თავი) წესები და პროცედურები.

დაწესებულება ახორციელებს მილევად რეჟიმში შემდეგ პროგრამებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე „პრაქტიკოსი ექთანი“ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №1-75 (20.10.2017წ.) ჩაირიცხა 14სტუდენტი
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცევტის თანაშემწე“ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №1-76(20.10.2017წ.) ჩაირიცხა 11 სტუდენტი, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №1-35 (25.06.2019წ.) კვალიფიკაცია მიენიჭა 9 კურსდამთავრებულს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

3. საგანმანათლებლო პროგრამაზე „ექთნის თანაშემწე“ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №1-77 (20.10.2017წ.) ჩაირიცხა 7 სტუდენტი, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №1-33 (18.06.2019წ.) კვალიფიკაცია მიენიჭა 6 კურსდამთავრებულს.
4. პრაქტიკოსი ექთანი პროგრამაზე „პრაქტიკოსი ექთანი“ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №1-30 (19.10.2018წ.) ჩაირიცხა 8 სტუდენტი, აჟამად სწავლობს 7. ერთ სტუდენტს პირადი განცხადების საფუძველზე დირექტორის ბრძანებით შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
5. საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცევტის თანაშემწე“ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №1-29(19.10.2018წ.) ჩაირიცხა 13 სტუდენტი, აჟამად სწავლობს 12. ერთ სტუდენტს პირადი განცხადების საფუძველზე დირექტორის ბრძანებით №2-03(06.02.2019წ.) შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი
6. საგანმანათლებლო პროგრამაზე „ექთნის თანაშემწე“ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №1-31(19.10.2018წ.) ჩაირიცხა 4 სტუდენტი.
7. საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №1-35(14.12.2018წ.) ჩაირიცხა 13 სტუდენტი, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №1-38 (12.08.2019წ.) კვალიფიკაცია მიენიჭა 13 კურსდამთავრებულს.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურები განხორციელდა კოლეჯი „არსის“ სასწავლო პროცედურათა წესის შესაბამისად და ამასთანავე დროულადაა ასახული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

გადამოწმდა დაწესებულების რეესტრი, რომლის მონაცემებით მილევად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ფიქსირდება 37 პროფესიული სტუდენტი, მ.შ. - პრაქტიკოსი ექთანი (მილევადი) – 21 პროფ.სტუდენტი (2017წ. - 14; 2018წ. - 7); ფარმაცევტის თანაშემწე - 12 პროფესიული სტუდენტი; ექთნის თანაშემწე-4 პროფესიული სტუდენტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

{ქალაქი, წელი}

რეესტრის მონაცემები, დაწესებულების საგანმნათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანებებში მითითებული სტუდენტთა რაოდენობები, ასევე წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან.
დაწესებულებაში არ განხორციელებულა განათლების აღიარების, ქართული ენის დადასტურების და მობილობის პროცედურა, შესაბამისად ამ პროცედურების გადამოწმება ვერ მოხერხდა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯი „არსის“ სასწავლო პროცედურათა წესით;
- პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის ბრძანებებით;
- კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანებებით;
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეების გადამოწმებით

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს არსი-ს დირექტორის ბრძანებით (№1-1-16/01.05.2019) დამტკიცებულია კოლეჯი „არსის“ სასწავლო პროცედურათა წესი (დებულებათა კრებული), რომელშიც XVIII თავისგან შედგება და მასში გაწერილია პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები (XV თავი).
აღნიშნული მიზნებისთვის დაწესებულება საქართველოს კერძო კოლეჯებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის (2018წ.) ხელმომწერია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------
*{ქალაქი, წელი}*

- ➢ კოლეჯი „არსის“ სასწავლო პროცედურათა წესით;
- ➢ საქართველოს კერძო კოლეჯებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმით

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით№1-85(04.12.2017წ.) პროექტის სახით არის მიღებული და **დღემდე არ დამტკიცებულა** კოლეჯი „არსის“ მრჩეველთა საბჭოს მიერ რეკომენდებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიხედვით სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესება დემინგის ციკლის საფუძველზე ხორციელდება ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერის მიერ, რომელიც ყოველი წლის დასაწყისში წარმოადგენს სამოქმედო გეგმას „პროგრამის განხორციელების შეფასების წესის“ შესაბამისად. შეფასება ხდება სამი მიმართულებით: საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები. შეფასების პროცესის შედეგების შეჯამება ხდება წელიწადში ორჯერ და შედეგების გაანალიზების საფუძველზე გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები.

ვიზიტის დროს მოხდა ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერთან გასაუბრება, რომელმაც წარმოადგინა დაწესებულებაში ჩატარებული გამოკითხვების და მათი ანალიზის შედეგები.

მილევადი პროგრამების ფარგლებში, შერჩევის წესით გადამოწმდა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტები, რამოდენიმე მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების მტკიცებულებები შეფასების მიმართულებების მიხედვით და რაიმე დარღვევა ჩარჩო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

{ქალაქი, წელი}

დოკუმენტის და საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალიწინებულ შეფასების მიმართულებებთან არ დაფიქსირებულა.

*<u>უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების ვებ გვერდზე შეუძლებელია რაიმე სახის ინფორმაციის მოპოვება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების ან/და ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერის ყოველწლიური სამოქმედო გეგმების და მათი შესრულების ანგარიშების შესახებ.</u>*

**მიეცათ რეკომენდაცია დამტკიცდეს, პროექტის სახით 2017 წელს მიღებული, „ხარისხის შიდა უზრუნყელყოფის მექანიზმები" და განთავსდეს დაწესებულების ვებ გვერდზე.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების პროექტით;
- ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერის წარმოდგენილი მასალებით;
- ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერთან გასაუბრებით

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| | ქ.რუსთავი, შარტავას ქ.№4 | 471,60 კვ.მ |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ვიზიტის დროს გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართები, საგანმნათლებლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მატერიალური რესურსები და მათი შესყიდვების დოკუმენტაცია.
დაწესებულებას მფლობელობაში აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართები.

კერძოდ:

A ტიპის 2 სასწავლო აუდიტორია თითოეული 18 პროფესიულ სტუდენტზე, მასწავლებლის და სტუდენტების სამუშაო ადგილებით (მაგიდა, სკამი), მასწავლებლის 1 ლეპტოპით და მონიტორით აღჭურვილი. ერთ-ერთ აუდიტორიაში დგას ქსეროქსის აპარატი.
B ტიპის 1 სასწავლო აუდიტორია - 9 პროფესიულ სტუდენტზე, სადაც არის მაწავლებლის 1 ლეპტოპი, 9 ლეპტოპი სტუდენტებისთვის, 1 ერთეული ე.წ. კომბაინი და 1 მონიტორი.
A/C ტიპის 3 სასწავლო გარემო, რომელთაგანაც 1 A-C ტიპის სასწავლო გარემო დათმობილი აქვს პროფესიული პროგრამას ,,ფარმაცევტის თანაშემწე“, რომელშიც განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ფარმაცევტის თანაშემწე“ და საგანმნათლებლო პროგრამის „ფარმაცევტის თანაშემწე“ მატერიალური რესურსის ჩამონათვალში მითითებული შესაბამისი ინვენტარი; მე-2 აუდიტორია პროფესიული პროგრამას ,,საექთნო განათლება'', რომელშიც ასევე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ,,საექთნო განათლება“ და საგანმნათლებლო პროგრამის ,,საექთნო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

განათლება“ მატერიალური რესურსის ჩამონათვალში მითითებული შესაბამისი ინვენტარი და მე-3 სასწავლო გარემო განკუთვნილია პროფესიულ პროგრამისათვის ,,საფინანსო სერვისები“ და რომელიც მატერიალური რესურსის ჩამონათვალის შესაბამისად ასევე სრულადაა აღჭურვილი.

ამრიგად, დაწესებულებას წარმოდგენილი 2 მოდიფიცირებული პროფესიული პროგრამის პროგრამის და მილევად რეჯიმში გადაყვანილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ფარმაცევტის თანაშემწე“ (2018წ. ჩარიცხვა), „ექთნის თანაშემწე“ (2018წ. ჩარიცხვა) და „პრაქტიკოსი ექთანი“ (2018წ.ჩარიცხვა) განსახორციელებლად გააჩნია, შესაბამისი ინვენტარით და მატერიალური რესურსით აღჭურვილი, საკმარისი A, B და A/ C გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების აუდიტორიების ვიზუალური დათვალიერებით;
- შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტებით

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს ,,არსი’’-ში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. კერძოდ: გადამოწმდა ,,სოკარ გაზთან’’, ,,რუსთავის წყალთან’’ და ,,ენერგო პროსთან’’ გაფორმებული ხელშეკრულებები და გადახდის ქვითრები, რითაც დასტურდება, რომ დაწესებულებას აქვს ელექტროენერგიის და წყლის მიწოდების უწყვეტი სისტემა. შენობა აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. მოწესრიგებულია სველი წერტილები და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

*{ქალაქი, წელი}*

დაცულია სანიტარული ჰიგიენის ნორმები. კოლეჯში ყველა სასწავლო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. დამონტაჟებულია კონდიციონერები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომუნალური მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით;
- ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ბიბლიოთეკა განთავსებულია საკონფერენციო სააქტო დარბაზში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკარისთვის განკუთვნილია ინტერნეტში ჩართული 1 კომპიუტერი, 1 პრინტერით. არსებობს ანბანური კატალოგი. არსებული ლიტერატურა არის აღრიცხული საბიბლიოთეკო წესით. ლიტერატურის ჩამონათვალი მოცემულია ვებ-გვერდზე-სულ 781 ერთეული, ხოლო საინვენტარიზაციო წიგნის მონაცემებით წიგნების რაოდენობა შეადგენს 845-ს. ბიბლიოთეკარის განმარტებით, საინვენტარო წიგნში აღრიცხავენ ე.წ.რიდერებს და ამობეჭდილ მასალასაც.

*ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილ ნაწილში მართალია განთავსებულია ორი მაგიდა ბიბლიოთეკის მკითხველთა საჭიროებისთვის, თუმცა არ არის კომპიუტერი და პრინტერი, რომლითაც ბიბლიოთეკის მომხმარებლებს შეეძლებათ ისარგებლონ. ამავე დროს არც ის ორი*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
*{ქალაქი, წელი}*

*<u>მაგიდა არის განთავსებული მოხერხებულად, რადგან მთელი სივრცის უმეტეს ნაწილში საქტო დარბაზის შესაბამისი აღჭურვილობაა (გრძელი სკამები) განლაგებული.</u>*

**ამიტომ რეკომენდაცია მიეცათ ან ბიბლიოთეკის და სააქტო დარბაზის სივრცეები გამიჯნონ, (მსგავსი რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფმა წინა ვიზიტის დროსაც გასცა) ან უფრო მეტი სივრცე დაუთმონ ბიბლიოთეკას და დაამატონ მკითხველთა მაგიდები, ასევე განათავსონ მინიმუმ ერთი კომპიუტერი პრინტერით, ბიბლიოთეკის მკითხველთა საჭიროებებისთვის.**

ექსპერტებმა შერჩევითი პრინციპით გადაამოწმეს სხვადასხვა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის და ლიტერატურის არსებობა, როგორც მილევად რეჟიმში განხორციელებული, ასევე წარმოდგენილი მოდიფიცირებული პროგრამებიდან და დააფიქსირეს, რომ ბიბლიოთეკაში სრულად არის წარმოდგენილი მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი ბეჭდური სახით.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გაწერილია შპს ,,არსი‘‘-ს დირექტორის 2019 წლის 4 სექტემბრის №1-44 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (შპს ,,არსი”-ს ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ბიბლიოთეკის ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- შპს ,,არსი‘‘-ს დირექტორის 2019 წლის 4 სექტემბრის №1-44 ბრძანებით დამტკიცებული წესდებით.
- ბეჭდური კატალოგების გადამოწმების შედეგებით;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობის გადამოწმებით მოდულებში მითითებულ ლიტერატურასთან;
- ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

----------------------------

----------------------------

*{ქალაქი, წელი}*

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს ,,არსი“ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია'' (სიჯისი)-სთან ინტერნეტის მოწოდებასთან დაკავშირებით. დომენის ხელშეკრულება გაფორმებულია ,,CAUCASUS ONLINE''-სთან.

დაწესებულებას აქვს ინტეგრირებული ბიბლიოთეკა-სააქტო დარბაზი, სადაც არის 1 მონიტორი,1 კომპიუტერი, 1 ლეპტოპი და 1 კომბაინი, ადმინისტრაციისთვის გამოყოფილია 1 ლეპტოპი, 2 კომპიუტერი, 2 პრინტერი და 1 კომბაინი.

კოლეჯში არსებული ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტის ქსელში.

კოლეჯი ჩართულია პროფესიული კოლეჯების ერთიან მონაცემთა ბაზაში (vet.ge) და საშტატო განრიგით გათვალისწინებულია რეესტრის წარმოების სპეციალისტის თანამდებობა, რომელიც სისტემატიურად უზრუნველყოფს ბაზაში ინფორმაციის შეტანას. რეესტრის წარმოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია თანამშრომელთა სამსახურებრივ ინსტრუქციებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერნეტის, დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულებებით;
- პროფესიული კოლეჯების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის გადამოწმების შედეგებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

- რეესტრის წარმოების სპეციალისტის სამსახურებრივი ინსტრუქციებით;
- ინტერვიუს შედეგებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს „არსი"-ს დირექტორის 04.09.2019/N1-44 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „არსი" -ს საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომლის მიხედვით საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია კანცელარიის მდივანი.

კანცელარიის მდივანი აწარმოებს განათლების ელექტრონული მართვის პორტალზე (emis.ge) პროფესიული სტუდენტების და მასწავლებლების, კოლეჯის პერსონალის მიღების, სასწავლო და შრომითი ურთიერთობის შეჩერება - შეწყვეტის ელექტრონულად ასახვას.

კანცელარიის მდივანი ასევე ითავსებს არქივის /არქივარიუსის ფუნქციასაც.

დაწესებულებაში გამოიყენება ოფიციალური დოკუმენტების აღრიცხვის სარეგისტრაციო სპეციალური ჟურნალები-ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებების, შემოსული და გასული დოკუმენტების და გაცემული დიპლომების აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალები, სადაც ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. ჟურნალები ზონარგაყრილია და ბეჭედდასმული, მათი სანდოობა და მთლიანობა უზრუნველყოფილია.

საქმისწარმოების ინსტრუქციის მოთხოვნების დაცვის დადასტურების მიზნით მოხდა საქმისმწარმოების წესის დაცვით შესრულების შემოწმება და დადგინდა, რომ საქმიანობა ხორციელდება დადგენილი წესის დაცვით.

*<u>თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ სხვადასხვა დოკუმენტებში, ასევე დაწესებულების სატიტულე ფურცელზე, ბლანკზე და ბეჭედზე დაწესებულების სახელწოდება ფიქსირდება სხვადასხვაგვარად და განსხვავებულია საჯარო რეესტრის ამონაწერში განსაზღვრულ ორგანიზაციის დასახელებისგან.</u>*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---ნ. ჭანკოტაძე---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

---------- გ. ანთელავა

*{ქალაქი, წელი}*

**მიეცათ რეკომენდაცია დაწესებულების სხვადასხვა დოკუმენტებში, ასევე დაწესებულების სატიტულე ფურცელზე, ბლანკზე და ბეჭედზე მითითებული სახელწოდებები შესაბამისობაში მოიყვანონ საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულ დაწესებულების სახელწოდებასთან.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების დოკუმენტების გადამოწმებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

შპს კოლეჯს ,,არსი" გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ცეცლმაქრები. შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. დაცულია ცეცლმაქრების გამოყენების ვადები.
კოლეჯის დაცვის თანამშრომელი შრომის უსაფრთხოების დაცვის სპეციალისტთან კოორდინირებით ახდენს ხანძარსწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომების კონტროლს კოლეჯის ტერიტორიაზე.

ბ) შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია თვითთმართველი ქალაქი რუსთავის მერიის სახანძრო დაცვის სამსახურთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

*{ქალაქი, წელი}*

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო ოთახი, სადაც განთავსებულია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტები.
სამედიცინო პუნქტის ფუნქციონირებისთვის დასაქმებულია სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. შემოწმების და ინტერვიუს შედეგედ დადგინდა, რომ სამედიცინო კუთხის ხელმძღვანელი აწარმოებს მედიკამენტების შემოტანის და რეალიზების აღრიცხვის ჟურნალს და აკონტროლებს პრეპარატების ვარგისიანობას.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.
კოლეჯს ჰყავს დაცვის თანამშრომელი, რომელიც აკონტროლებს შენობის სრულ პერიმეტრს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების დაცვის სპეციალისტთან კოორდინირებით ახორციელებს ხანძარსწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომების კონტროლს კოლეჯის ტერიტორიაზე;
შენობის დერეფანში დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები.
დაცვის თანამშრომელს ევალება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება გადაადგილებაში.
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს კოლეჯი ,,არსი''-ს დირექტორის 2019 წლის 4 სექტემბრის/ბრძანება N1-44-ით დამტკიცებული შპს კოლეჯი ,,არსი''-ს წესდებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
*{ქალაქი, წელი}*

დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯს არ ჰყავს და არც ჰყოლია შშმ და სსსმ პირი, გამომდინარე აქედან, არ შექმნიათ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის საჭიროება. წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების ნაწილობრივი გათვალისწინებით (იხ. გვ.5 - **გაცემული რეკომენდაციების შესრულება**), დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

კოლეჯი ,,არსი''-ს წესდების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში დაცვის თანამშრომელს ევალება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება გადაადგილებაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს კოლეჯი ,,არსი''-ს დირექტორის 2019 წლის 4 სექტემბრის/ბრძანება N1-44-ით დამტკიცებული შპს კოლეჯი ,,არსი''-ს წესდებით;
- ინტერვიუს შედეგებით;
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ვებ გვერდი www.collegearsi.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, კერძოდ დაწესებულების მისია, სტრუქტურა, ნორმატიული აქტები, სასწავლო მიმართულებები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------------
------------------------------
*{ქალაქი, წელი}*

საგანმანათლებლო პროგრამები, პედაგოგიური პერსონალი, სტუდენტთა სია, პარტნიორობა, სტუდენტის ცნობარი, ბიბლიოთეკა, სასარგებლო ბმულები, გალერეა და სხვ.

ვებ გვერდის განახლება ხორციელდება რეგულარულად შპს ,,არსი''-ში არსებული სიახლეების გათვალისწინებით და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება გაეცნოს ინფორმაციასა და სიახლეებს.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ წინა ვიზიტის დროს მათ მიეცათ რეკომენდაცია ვებ გვერდზე დოკუმენტების ვორდის ფაილებით განთავსებასთან დაკავშირებით, (იხ. გვ.5 - **გაცემული რეკომენდაციების შესრულება**), რასაც კოლეჯის ადმინისტრაცია ეთანხმება და იზიარებს და უახლოეს პერიოდში გეგმავს განაახლოს ვებ გვერდი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- www.collegearsi.ge ვებ გვერდის გადამოწმებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების 7 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაყოფილია 5 სტრატეგიულ მიზნად, თითოეულ მიზანს მითითებული აქვს შესრულების ინდიკატორი და ჰყავს პასუხიმგებელი პირები. მიზნებში გათვალისწინებულია კოლეჯის მატერიალური რესურსების განახლება-გაუმჯობესება. შემუშავებულია აგრეთვე განვითარების 1 წლიანი სამოქმედო გეგმაც, რომელიც შედგება მიზნების და ამოცანებისგან. სტრატეგიული განვითარების გეგმა თავსებადია და გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

*{ქალაქი, წელი}*

დაწესებულებაში 2018 წლის ბოლოს, მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე (№4, 26.12.2018წ.) შეჯამდა 2018 წლის 1 წლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები, სხდომაზე იმსჯელეს, თუ დაგეგმილი ღონისძიებებიდან (სულ 17 აქტივობა) რა შესრულდა სრულად, რა ნაწილობრივ და რა ვერ შესრულდა და გადავიდა 2019 წლის სამოქმედო გეგმაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს კოლეჯის ,,არსი“ დირექტორის 2019 წლის 12 თებერვალის N1-07 ბრძანებით დამტკიცებული შპს კოლეჯის ,,არსი“-ს განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმით;
- შპს კოლეჯის ,,არსი“ დირექტორის 2019 წლის 14 თებერვალის N1-08 ბრძანებით დამტკიცებული შპს კოლეჯის ,,არსი“-ს განვითარების 1 წლიანი გეგმით;
- დაწესებულების მისიით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

*{ქალაქი, წელი}*

## 3. ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯი ,,არსი’’-ს შინაგანაწესში მოცემულია ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული მასწავლებლების მიღების, თანამდებობაზე დანიშვნის და გათავისუფლების ზოგადი წესი, ხოლო საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია წესდებაში. ექსპერტების მიერ გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. თანამდებობაზე დანიშვნის და გათავისუფლების წესის მიხედვით, პროფესიული მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად კოლეჯს შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერთან კონსულტირების და წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე კონკურსის გარეშე დანიშნოს თანამშრომელი ან გამოაცხადოს ღია კონკურსი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის მიხედვით, მაგრამ დაწესებულების ხელმძღვანელის ინფორმაციით, კონკურსის ჩატარების შემთხვევა არ ჰქონიათ. კოლეჯს მართავს დირექტორი, ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი და მიმდინარე პროგრამების ხელმძღვანელები. მრჩეველთა საბჭო პერიოდულად (კალენდარული ან სასწავლო წლის ბოლოს) იკრიბება და აჯამებს კოლეჯის მუშაობის წლიურ შედეგებს, შეიმუშავებს სტრატეგიული და განვითარების 1 წლიანი გეგმების შესახებ რეკომენდაციებს.
დირექციასა და ადმინისტრაციაში დასაქმებულია 5 პირი. კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ბიბლიოთეკარის და მედდის შტატები. ბიბლიოთეკარს აქვს პროფესიის დამადასტურებელი საბუთი (ტექნიკური განათლება, სპეციალობა-ბიბლიოთეკათმცოდნე) და სპეციალობით მუშაობის გამოცდილება. დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც არაა განსაზღვრული ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება.

პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად კოლეჯს ჰყავს ექიმი, რომელიც ამავდროულად არის პედაგოგი და შეთავსებული აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

*{ქალაქი, წელი}*

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა შრომითი ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები და გამოვლინდა, რომ პერსონალთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში არსებითი პირობები არ არის გათვალისწინებული, კერძოდ, არ არის მოცემული საქართველოს ორგანული კანონის-საქართველოს შრომის კოდექსით (თავი მე-4, მუხლი 17) განსაზღვრული წესი ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ.

**რეკომენდაცია მიეცათ, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს ჩაემატოს პუნქტი საქართველოს ორგანული კანონის-საქართველოს შრომის კოდექსით (თავი მე-4, მუხლი 17) განსაზღვრული არსებითი პირობა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს კოლეჯი ,,არსი''-ს წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 4 სექტემბრის N1-44 ბრძანებით;
- თანამშრომელთა პირადი საქმეებით და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- შპს კოლეჯი ,,არსი''-ს დირექტორის 2019 წლის 22 თებერვლის N1-10.02.2019 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯი ,,არსი''-ს შინაგანაწესით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი აქვს შპს არსის წესდებით თავი 10. რომლის მიხედვით „პროფესიული განათლების მასწავლებლი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების კვალიფიკაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*{ქალაქი, წელი}*

მფლობელი, ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ამავე თავით, რეგულირდება პროფესიული მასწავლებლის ვალდებულებები, პროფესიული მასწავლებლის თანამდებობის დაკავების წესი, მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება, პროფესიული მასწავლებლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა როგორც მილევად რეჟიმში განხორციელებული სამი პროგრამის - „პრაქტიკოსი ექთანი“, „ექთნის თანაშემწე“ „ფარმაცევტის თანაშემწე“ ასევე საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროგრამების - „საექთნო განათლება“ და „საფინანსო სერვისები“ - პროფესული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები.

მილევად რეჟიმში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან მიმართებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„პრაქტიკოსი ექთანი“** ხორციელდება 8 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაა - 21. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიულ სტუდენტთა თანაფარდობაა - 8/21;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ექთნის თანაშემწე“** ხორციელდება 9 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაა - 4. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიულ სტუდენტთა თანაფარდობაა - 9/4;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ფარმაცევტის თანაშემწე“** ხორციელდება 8 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაა - 12. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიულ სტუდენტთა თანაფარდობაა - 8/12.
**ამრიგად, მილევად რეჟიმში მოქმედი საგანმნათლებლო პროგრამების კვალიფიციურ პროფესიულ მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა თანაფარდობა ავტორიზაციის სტანდარტების მოთხვნების შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
*{ქალაქი, წელი}*

მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მომართებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:
პროგრამების განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს.

**„საექთნო განათლება“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში (მილევადი პროგრამის „პრაქტიკოსი ექთანი“ პროფესიული სტუდენტების ჩათვლით) 42 პირის მიღება. პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 16 (13 დარგობრივი, 3 ზოგადი) პროფესიული მასწავლებელი.
**„საფინანსო სერვისები“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 16 პირის მიღება, პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 8 (3 დარგობრივი, 5 ზოგადი) პროფესიული მასწავლებელი.
აღსანიშნავია რომ, „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგამის 14 პროფესიული მოდული იკითხება ერთი პროფესიული მასწავლებლის მიერ, აქედან სამ მოდულში მასთან ერთად განმახორციელებელ პირებად მოაზრებულია კიდევ 2 პროფესიული მასწავლებლი, რომელთაგან ერთის კვალიფიკაციაა ფილოლოგი, ხოლო მეორე მხოლოდ ერთ სპეციფიკურ მოდულს (სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი) ანხორციელებს. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯი აღნიშნული პროგრამის განხორციელებას გეგმავს 2 ჯგუფად მასწავლებლის კვირეული დატვირთვა აღწევს 50 სთ-ს, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი 70 სთ-ს. რის გამოც ეჭვქვეშ დადგა პროგრამის მდგრადობა. კოლეჯის დირექტორმა გასაუბრებისას განაცხადა, რომ მასწავლებელს სხვადასხვა მოდულებში ჩაანაცვლებდა იმ მასწავლებლით, რომლის კვალიფიკაცია მართალია ფილოლოგიაა, მაგრამ გააჩნია ბანკში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. თუმცა, ვიზიტის პერიოდში აღნიშნულ პირზე დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამა დამატებითი პროფესიული მასწავლებლებით.

**რეკომენდაცია მიეცათ დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ დამატებით მინიმუმ ერთი, დარგის პროფესიული მასწავლებლით, ვინაიდან 3 დარგობრივი პროფესიული მასწავლებლიდან კვალიფიკაცია მხოლოდ ერთს დაუდასტურდა,**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
*{ქალაქი, წელი}*

**ხოლო ჩამნაცვლებლად შემოთავაზებული მასწავლებლის (კვალიფიკაციით ფილოლოგის) ბანკში პროფესიული მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს არსის წესდებით;
- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს კოლეჯში ,არსი‘‘ პროფესიული განათლების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს კოლეჯის ,,არსი‘‘ შინაგანაწესით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*{ქალაქი, წელი}*

## X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

1. დირექტორის 27.09.2019 წ. ბრძანება N 1-46 საგანმანათლებლო პროგრამის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.

(ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად)

04.11.2019წ.
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
------------------------
------------------------

*{ქალაქი, წელი}*